



საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ენერჯის ეფექტიანი გამოყენების და ენერგოდაზოგვის მიმართულებით

22 აპრილი, 2008 წ.

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში ენერგოშემცველების წილი ქვეყნის შიდა პროდუქტში სამჯერ აღემატება ევროპის განვითარებული ქვეყნების იგივე მაჩვენებელს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში წარმოებულ ერთეულ პროდუქტზე ენერგეტიკული დანახარჯი ევროპის განვითარებული ქვეყნების იგივე მაჩვენებელზე¹ სამჯერ მეტია. საერთაშორისო ენერგეტიკულ ბაზარზე დღეს არსებული ფასები კიდევ უფრო ამძიმებს საქართველოს მდგომარეობას, რადგან ის მოხმარებული ბუნებრივი გაზის და ნავთობპროდუქტების სუფთა იმპორტიორია. შესაბამისად, ბუნებრივ გაზსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა უშუალო ზემოქმედებას ახდენს ქართული საწარმოების დანახარჯებზე და მათ მზარდ კონკურენტულ გარემოში არახელსაყრელ პირობებში აყენებს როგორც შიდა ბაზარზე, ისე ექსპორტის კუთხით.

დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნები, რომლებიც, საქართველოს მსგავსად, ენერგოშემცველების იმპორტიორები არიან, 1973 წლის ნავთობის შოკის შემდეგ ენერჯის ეფექტიანი გამოყენების და დაზოგვის მკაცრ პოლიტიკას ატარებენ. ამ პოლიტიკის წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ 1973 წლის შემდეგ ამ ქვეყნების შიდა პროდუქტი სამჯერ გაიზარდა, ენერგორესურსების მოხმარება კი – მხოლოდ მესამედით.

2006 წლის 7 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება “საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების” შესახებ, რომელიც სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის არსს განმარტავს და მისი განხორციელების გზებსა და საშუალებებს ასახავს. დადგენილების ძირითად ნაწილში, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის სხვა პრიორიტეტებთან ერთად, აღნიშნულია ენერგოეფექტიანობის ამაღლება, რაც ენერგოდაზოგვას, ანუ ენერგორესურსების ყაირათიან მოხმარებას გულისხმობს².

ენერგოეფექტიანობის და ენერგოდაზოგვის პოლიტიკის მთავარ ამოცანებად განსაზღვრულია (1) სამრეწველო და კომუნალურ სფეროში ენერგომოხმარებისა და ენერგოდანკარგების შემცირება და (2) კოგენერაციის³ სისტემების დანერგვისა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებების შესწავლა-გატარება.

¹ ეს მაჩვენებელი საწარმოების მიხედვით განსხვავებულია. მაგალითად, სააქციო საზოგადოება “მინის” მიერ წარმოებული მინის ტარის ერთეული პროდუქტის თვითღირებულების 40% ენერგეტიკულ კომპონენტზე მოდის.

² დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ენერგოეფექტიანობის პოლიტიკის გასატარებლად საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა.

³ კოგენერაცია არის ბუნებრივი გაზის ბაზაზე ელექტროენერჯის წარმოების დროს წარმოქმნილი სითბოს გამოყენება წყლის გასაცხელებლად, რაც გამოიყენება ახლო მანძილზე მყოფი შენობების გასათბობად.





ამის მიუხედავად, დღესდღეობით ენერგეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე სამინისტროს საქმიანობის ძირითად მიმართულებებში (სამინისტროს მისია) ენერგოეფექტიანობასა და ენერგოდაზოგვაზე ნათქვამი არაფერია, რაც, შესაძლოა, იმის ნიშანი იყოს, რომ სახელმწიფოს ამ ეტაპზე სრულყოფილად არა აქვს ჩამოყალიბებული, ენერგოეფექტიანობის პოლიტიკა როგორ უნდა გატარდეს (ან მისი გატარება აუცილებლად არ მიაჩნია).

საქართველოს მიერ ამჟამად მოხმარებული ენერგოშემცველების 71% იმპორტირებულია. აქედან ბუნებრივი გაზის წილი 47%-ია, ნავთობპროდუქტების – 24%. იმპორტირებულ ენერგოშემცველებზე ასეთი მაღალი დამოკიდებულება ბუნებრივ მასტიმულერებს უნდა წარმოადგენდეს იმისთვის, რომ სახელმწიფომ ენერგოეფექტური და ენერგოდაზოგვითი პოლიტიკის გატარებას ხელი შეუწყოს და ამით იმპორტზე დამოკიდებულება შეამციროს⁴.

უცხოური დახმარება ენერგოეფექტურობის ამაღლებისათვის

ამჟამად საქართველოში მუშაობს უცხოელების მიერ დაფინანსებული ორი პროექტი, რომელთა მიზანი ენერგოეფექტურობის მიმართ ხელისუფლებისა და საზოგადოების ყურადღების მიპყრობაა. 1998 წლიდან ფუნქციონირებს ენერგოეფექტურობის ცენტრიც, რომელიც ევროკავშირის დაფინანსებით TACCIS-ის ქვეპროექტის სახით შეიქმნა, თუმცა, იმის გამო, რომ შესაბამისი ინსტიტუციური და საკანონმდებლო ბაზა ჯერ არ არსებობს და სახელმწიფოს მხრიდან ამ საკითხის მიმართ დაინტერესება ნაკლებია, ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევებს, როგორც წესი, მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და ქვეყნის ენერგოპოლიტიკაზე რეალურ გავლენას არ ახდენს.

2007 წლის ბოლოდან ენერგოეფექტურობის საკითხზე საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან აქტიურად თანამშრომლობა დაიწყო „ამერიკის განვითარების სააგენტომ“ (USAID) და მისმა ქვეკონტრაქტორმა კომპანიამ Winrock International-მა. ეს კომპანია, ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან – “საერთაშორისო გამოცდილება საქართველოსათვის” – ერთად, ენერგოეფექტიანობის საკითხის შესწავლას შეუდგა და ამჟამად საკანონმდებო აქტის მომზადებაზე მუშაობს. აქტი ენერგეტიკის სამინისტროს იენისში უნდა წარედგინოს. მუშაობა მიმდინარეობს ახალი საამშენებლო სტანდარტების შემუშავებაზეც, რათა საამშენებლო კომპანიებს ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენების ვალდებულება დაეკისროთ. ეს სამუშაოები ჯერჯერობით მხოლოდ საწყის ეტაპზეა.

2007 წლის ბოლოს სახელმწიფო პოლიტიკისგან დამოუკიდებლად „ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა“ TBC ბანკში 35 მილიონ აშშ დოლარიანი საკრედიტო ხაზი გახსნა. ამ თანხით დაფინანსდება ქართული საწარმოების, მათ შორის, პურის საცხობების, ლუდსახარშების, ჩამოსასხმელი საამქროების და ა.შ. ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებზე გადასვლა. სესხები ხელმისაწვდომია საამშენებლო კომპანიებისა და ბინათმფლობელებისთვისაც, რათა მათ შენობები და ბინები ახალი სტანდარტების შესაბამისად

⁴ პოლიტიკის ამ მიმართულებით წარმართვის შემაფერხებელ ფაქტორად მოქმედებს ის, რომ დღეს სახელმწიფო როგორც იმპორტირებული, ისევე ქვეყნის შიგნით წარმოებული ენერგოშემცველების გაყიდვებიდან მნიშვნელოვან შემოსავლებს იღებს დამატებითი ღირებულების, აქციზური და სხვა გადასახადების სახით. შესაბამისად, ის ნაკლებად არის დაინტერესებული, რომ ენერგო მოხმარების მაჩვენებელი შემცირდეს. ამის ინტერესი იმპორტიორ და დისტრიბუტორ კომპანიებსაც ნაკლებად აქვთ.





ააშენონ და მოაწყონ და ფანჯრების, კედლების, იატაკისა და სახურავების თბოიზოლაციის საშუალებით შეამცირონ გათბობა-გაგრილების ხარჯები.

ასევე, მიკროსაფინანსო ბანკში გაიხსნა მიკრო საკრედიტო ხაზი ბინათმფლობელებისთვის ბინებში ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით მოწყობის მიზნით. ამ საკრედიტო ხაზის თანადამფინანსებელია „ბრიტიშ ჰეტროლიუმი“, რომელიც თითოეულ მომხმარებელს გაცემული კრედიტის 15%-ს უფარავს.

მოკლე წინასტორია

საბჭოთა კავშირში ენერჯის ეფექტურ გამოყენებას და ენერგოდაზოგვას ყურადღება არ ექცეოდა. ენერგოშემცველებზე ფასები დოტაციური იყო, რაც მათ მიმართ მფლანგველობით დამოკიდებულებას განაპირობებდა. ამ პერიოდში საქართველოში ელექტროენერჯის მაქსიმალური მოხმარება 18 მლდ/კვსთ-ს აღწევდა. ბუნებრივი გაზის მოხმარების მაქსიმალური მაჩვენებელი წლიურად 6,5 მილიარდი კუბური მეტრი იყო. ნავთობპროდუქტების მოხმარება დაახლოებით მილიონ ტონას შეადგენდა.

ენერგოშემცველებს, ძირითადად, მძიმე ინდუსტრიის საწარმოები (ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რუსთავის ქიმიური კომბინატი, რკინიგზა და ა.შ) მოიხმარდნენ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ენერგოშემცველების მოხმარება მკვეთრად შემცირდა. 2007 წელს საქართველო 8 მლდ/კვსთ ელექტროენერჯიას, 1,7 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს და დაახლოებით 750 ათას ტონა ნავთობპროდუქტებს მოიხმარდა.

ამჟამად ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერჯისა და გაზის მოხმარებით საქართველო მკვეთრად ჩამორჩება როგორც განვითარებულ, ისე ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა ქვეყანას. 2007 წელს ერთ სულ მოსახლეზე 1863 კვტ.სთ/წლ. ელექტროენერჯია და 427 კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი მოიხმარებოდა.

ბოლო სამი წლის განმავლობაში მოთხოვნა ელექტროენერჯიაზე და ბუნებრივ გაზზე არ გაზრდილა, რასაც ზოგიერთი ექსპერტი მათზე არსებულ მაღალ ტარიფებს მიაწერს. დღესდღეობით მაღალი ტარიფები ერთადერთი ენერგოდაზოგვითი ღონისძიებაა, რითაც ხდება იმის უზრუნველყოფა, რომ შეიზღუდოს მოსახლეობის და ეკონომიკური აქტორების მიერ ენერგოშემცველების მოხმარების მატება და ქვეყნის ენერგომატარებლების იმპორტზე დამოკიდებულების გაზრდა.

შემდგომ ქვეთავებში განხილულია საქართველოში ენერჯის ეფექტურად გამოყენებისა და ენერგოდაზოგვის რეზერვები სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების და „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსათვის“ მიერ შემუშავებული 2006 წლის კრებისით ენერგეტიკული ბალანსის მიხედვით⁵.

ენერგოშემცველების მოხმარება საქართველოში 2006 წელს


⁵ ეს ბალანსი მიახლოებითა და, შესაძლოა, მცირე უზუსტობებს შეიცავდეს.





არასამთავრობო ორგანიზაციამ „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსათვის“ „ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ დაფინანსებით შეიმუშავა 2006 წლის კრებსითი ენერგეტიკული ბალანსი ცალკეული მომხმარებლების მიერ მოხმარებული ენერგოშემცველების დაჯამებით.⁶ ეს ბალანსი ეყრდნობა სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებს და ამდენად, მისი სიზუსტე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ზუსტია ამ დეპარტამენტის მონაცემები.

გრაფიკი 1. ენერჯის მიწოდება 2006 წელს.



წყარო: მსოფლიო გამოცდილება საქართველო

პირველადი ენერჯის მიწოდების 71% (47% ბუნებრივი აირი და 24% ნავთობპროდუქტები) იმპორტზე მოდის⁷. ადგილობრივი შეშის მოხმარება დაახლოებით ისეთივეა, როგორც ჰესებზე გამოიმუშავებული ელექტროენერჯის მოხმარება. საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება შეშის მიმართ განსაკუთრებით უყარათოა, რასაც უფრო ამძიმებს დაბალი მარგი ქმედების კოეფიციენტის მქონე (20-25% მქ/კ) ღუმელების გამოყენების ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა.

„საერთაშორისო გამოცდილება საქართველოსთვის“ კვლევის მონაცემებით, 2006 წელს საქართველომ მთლიანობაში 3 მილიონი ნავთობის ექვივალენტი ენერგეტიკული რესურსი მოიხმარა. ამ რესურსის მოხმარების სტრუქტურა ასე გამოიყურება:


⁶ მოხდა სტატისტიკის დეპარტამენტში შესული მონაცემების დაჯამება.

⁷ ძვირი იმპორტის ასეთი წილი ბუნებრივად უნდა უბიძგებდეს მოხმარების შემცირებისაკენ.





გრაფიკი 2. ენერგოშემცველების საერთო მოხმარება 2006 წელს ათას ტონა ნავთობის ექვივალენტში.



წყარო: მსოფლიო გამოცდილება საქართველო


საყოფაცხოვრებო დანიშნულებით (პერსონალური ტრანსპორტის ჩათვლით) გამოყენებული ენერგია ენერჯის საერთო მოხმარების 53% შეადგენდა, რაც სამჯერ აღემატებოდა სამრეწველო და ათჯერ – სამეურნეო და მომსახურების სექტორებში ენერჯის ხარჯვის მაჩვენებლებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მაღალი დანაკარგები, რომლებიც ტექნიკურ და კომერციულ დანაკარგებს მოიცავს⁸.

ტექნიკური დანაკარგების მაღალი დონე, სავარაუდოდ, მოძველებული ტექნოლოგიებით და დანადგარებით არის გამოწვეული. კომერციული დანაკარგების მაღალი დონე უფრო რთული ასახსნელია. საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე მოქმედი აქტივორები ნაწილობრივ ან სრულად უცხოური (რუსული, ყაზახური, ჩეხური) კაპიტალით დაფუძნებული კომერციული სტრუქტურებია. თავის დროზე ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზაცია იმის გამო მოხდა, რომ სექტორის საწარმოები გაჯანსაღებულიყო და კომერციულად მომგებიანი გამხდარიყო, რაც მაღალი კომერციული დანაკარგების პირობებში რთული მისაღწევია.

გრაფიკი 3. სასარგებლოდ გამოყენებული ენერგოშემცველების⁹ მოხმარების სტრუქტურა.

⁸ ტექნიკური დანაკარგები თითოეული ენერგოკომპანიისთვის ინდივიდუალურად და საერთო დანაკარგების 10-15%-ს შეადგენს. დანარჩენი დანაკარგები კომერციულია.


⁹ სასარგებლოდ მოხმარებული ენერგია ნიშნავს მოხმარებულ ენერჯიას დანაკარგების გამოკლებით.



სასარგებლოდ მოხმარებული ენერჯის 49% მოსახლეობაზე მოდის. იმის გათვალისწინებით, რომ ტრანსპორტის ძირითადი ნაწილიც მოსახლეობის საკუთრებაშია, ენერჯის სასარგებლოდ მოხმარების უდიდესი ნაწილი ისევ მოსახლეობისთან მოხმარებასთან არის კავშირში. სოფლის მეურნეობის, მომსახურების სფეროს და ინდუსტრიის მოხმარება გაცილებით დაბალია.

ელექტროენერჯის მოხმარება 2006 წელს

გრაფიკი 4. ელექტროენერჯის მოხმარების სტრუქტურა 2006 წელს.



წყარო: მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის

ელექტროენერჯის ყველაზე მსხვილი მომხმარებლები არიან:

- ენერგო-პრო ჯორჯია – 29% (გამანაწილებელი კომპანია რეგიონებში)
- თელასი – 22% (გამანაწილებელი კომპანია თბილისში)
- პირდაპირი მომხმარებლები – 22% (ინდუსტრიული მომხმარებლები)

გრაფიკი 5. პირდაპირი მომხმარებლის ელექტროენერჯის მოხმარება



გაზის
მოხმარე
ბა
2006
წელს

2006
წელს
საქართვე
ლომ
დაახლო
ებით
1,8
მილიარ
დი
კუბური
მეტრი
ბუნებრი
ვი გაზი
მოიხმარ
ა.

გრაფიკი
8.
გაზის
მოხმარე
ბის
სტრუქ
ტურა


საერთო მოხმარებაში პირდაპირი მომხმარებლების ასეთი დაბალი წილი იმაზე 2006 მიუთითებს, რომ ენერგომოხმარებაში ინდუსტრიული სექტორის წილი მცირეა. ისწელს მოსახლეობის მოხმარებას ბევრად ჩამორჩება¹⁰. ამის გათვალისწინებით, გაზის მოხმარებაში ენერჯის ეფექტური მოხმარებისა და დაზოგვის მნიშვნელოვანი პოტენციალი მოსახლეობაში ინფორმაციულობის დონის და თვითშეგნების ამაღლებაა. შესაბამისად, საჭიროა ენერგოდაზოგვის და მოხმარების ეფექტიანობის ამაღლების მომგებიანობის შესახებ ახსნა-განმარტებითი ხასიათის კამპანიის წარმოება. საჭიროა, მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ წახალისოს იმპორტიორი კომპანიები, რათა მათ აწარმოონ ენერგოეფექტური ელექტროხელსაწყოების იმპორტი.

¹⁰ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა უმსხვილესი პირდაპირი მომხმარებელია. შემდეგ მოდის რკინიგზა და თბილისის წყალი. ამ საწარმოებისგან არც ერთის გადაირალება ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიებით არ მომხდარა. ისინი კვლავ საბჭოთა პერიოდის ტექნოლოგიით მუშაობენ. ამ საწარმოების გადაირალების ან გაჩერების შემთხვევაში (გარდა რკინიგზისა და თბილწყალკანალისა), ენერგოაუდიტმა, შესაძლებელია, ელექტროენერჯის დაზოგვის ძალზე მნიშვნელოვანი პოტენციალი გამოავლინოს.





გაზის მოხმარების სტრუქტურა 2006 წელს
მლნ მ3



ყაზტრანსგაზი	იტერა
გტკ მომხმარებლები	ცემენტის ქარხნები
მტკვარი	თბილსრესი
აირტურბინა	არაენერგეტიკული მომხმ.



გაზის ყველაზე დიდი მომხმარებლები „ყაზტრანსგაზი თბილისი“ და „მტკვარი ენერჯეტიკაა“. შემდეგ მოდის „იტერა ჯორჯია“, „თბილსრესი“, არაენერგეტიკული მომხმარებლები და „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“. ჯამურად ბუნებრივი გაზის ყველაზე მსხვილ მომხმარებლად ელექტროგენერაციის ობიექტები – მტკვარი 19% (ეკუთვნის რუსულ კომპანია ინტერ-რაოს), თბილსრესი 13% (სახელმწიფოს კუთვნილებაშია) და აირტურბინა 5% (ეკუთვნის რუსულ-ქართულ ბიზნეს ჯგუფს, ენერჯი-ინვესტს) რჩება (სულ 37%).

ელექტროგენერაციაში გაზის მოხმარების მაღალი მაჩვენებელი იმით არის განპირობებული, რომ აღნიშნული ობიექტების ნაწილი მოძველებულია, ნაწილი კი სრულად არ იყენებს ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს. სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი „თბილსრესი“ 70-იანი წლების შუა პერიოდშია აშენებული; „მტკვარი ენერჯეტიკა“ – 80-იან წლებში. შესაბამისად, მათი ენერგოეფექტიანობა 40%-ის ფარგლებშია. რუსულ-ქართული ბიზნეს ჯგუფის – „ენერჯი-ინვესტის“ კუთვნილი აირტურბინის თბური ეფექტი საერთოდ არ არის გამოყენებული. მისი გამოყენების შემთხვევაში აირტურბინის ეფექტიანობა, საშუალოდ, 40%-ით გაიზრდებოდა. საბჭოთა ტექნოლოგიებით მუშაობს რუსთავის ქიმკომბინატიც („აზოტი“). სრული დატვირთვის შემთხვევაში ეს საწარმო როგორც გაზის, ისე ელექტროენერგიის უმსხვილესი საწარმო იქნებოდა. მის გადაირადებას და თანამედროვე ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებზე გადაყვანას ასეულობით მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია სჭირდება, რაც კერძო მფლობელს ჯერ არ განუხორციელებია.

ბუნებრივი გაზის ინდივიდუალურ მომხმარებელ კომპანიებს შორის ყველაზე მსხვილი მომხმარებელი „ყაზტრანსგაზია“ (თბილისის გამანაწილებელი).

გრაფიკი 9. გაზის მოხმარების სტრუქტურა თბილისში წლიურად





დანაკარგები და მოხმარება განსაკუთრებით მაღალი ზამთრის თვეებში, გათბობის სეზონის დროს არის. ამ პერიოდში მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში გათბობის არაენერგოეფექტურ საშუალებებს იყენებს. დედაქალაქში ეს გაზის და ელექტროენერჯის, ხოლო რეგიონებში – საწვავი შეშის მფლანგველურ მოხმარებაში გამოიხატება.


ენერგოეფექტიანობის ამაღლება მშენებლობაში

ამჟამად საქართველოში ყველაზე სწრაფად სამშენებლო ბიზნესი ვითარდება. სწრაფად იზრდება დედაქალაქის და საზღვაო ზოლის საბინაო ფონდი. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სასტუმროების ქსელის მშენებლობაც. შენობების გათბობის წილი წლიურ ბალანსში საკმაოდ მაღალია. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს დადგენილი არა აქვს ისეთი მნიშვნელოვანი სამშენებლო სტანდარტები, როგორცაა შენობების თბოიზოლაციის დავალდებულება¹¹. ასეთ პირობებში 2006 წლიდან ბინების გათბობაზე მთელი მოხმარებული გაზის (გარდა დანაკარგებისა) 19% იხარჯება.

გრაფიკი 10: გაზის მოხმარების ზოგადი სტრუქტურა 2006 წელს

¹¹ გარდა ორმაგი მეტალო-პლასტმასის ფანჯრებისა.





დღესდღეობით, ახალი საბინაო ფონდის მხოლოდ 40%-ია დატვირთული. სრული დატვირთვის შემდეგ ენერგოშემცველებზე მოთხოვნა (გათბობა-გაგრილების მიზნით), სავარაუდოდ, ორჯერ მაინც გაიზრდება. ამის გათვალისწინებით, აუცილებელია, დროულად მოხდეს ისეთი სამშენებლო კოდექსის მიღება, რომელიც მენაშენებს თბოსაინჟოლაციო ნორმების დაცვას დაავალდებულებს¹².

ნავთობპროდუქტები¹³

ნავთობპროდუქტების იმპორტს საქართველოს იმპორტში პირველი ადგილი უჭირავს. შესაბამისად, ნავთობპროდუქტების იმპორტი, სხვადასხვა გადასახადების სახით, სახელმწიფო ბიუჯეტის ყველაზე მსხვილი შემავსებელია. 2007 წელს ნავთობპროდუქტების იმპორტიორებმა ბიუჯეტში 360 მილიონი ლარი შეიტანეს.

მომსახურების სფერო საერთო ბალანსში მხოლოდ 4%-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნავთობპროდუქტების ძირითად მომხმარებლად მოსახლეობა რჩება. ნავთობპროდუქტების იმპორტის შემცირების მნიშვნელოვანი რეზერვი ძალზე მოძველებული საავტომობილო პარკია. საბჭოთა და ათი და მეტი წლის უცხოური მანქანები (მათ შორის, სხვადასხვა წარმოების ჯიპები და გაუვალ გზებში გამოსაყენებელი სხვა მანქანები, რომლებიც საქართველოს ბაზარზე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს) მაღალ კუბატურიანია და ბევრ საწვავს მოიხმარს¹⁴.

ევროკავშირის ქვეყნებში დაბალი კუბატურის და გარემოსდაცვითი სტანდარტების გათვალისწინებით შექმნილი მანქანების გაყიდვების წახალისების სხვადასხვა მექანიზმები არსებობს. მათი გაცნობა და გათვალისწინება როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების, (რომლებიც ამ სფეროს არეგულირებენ), ისე ქართველი იმპორტიორებისა და მომხმარებლებებისთვის ხელსაყრელი იქნებოდა.

¹² საამშენებლო კოდექსზე მუშაობა მიმდინარეობს

¹³ ეს ქვეთავი ეყრდნობა „ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ასოციაციის“ მიერ მოწოდებულ მონაცემებს.

¹⁴ ნახმარი მანქანები, ძირითადად, გერმანიიდან შემოდის. გერმანული მერსედესები და ბმუ-ები, ევროკავშირის ქვეყნებში წარმოებულ მანქანებს შორის, ყველაზე მეტ რესურსს მოიხმარს.





დასკვნა

ცხადია, რომ ენერჯის მოხმარების ეფექტურობის ამაღლების და ენერჯის დაზოგვის თვალსაზრისით რეზერვები არსებობს. მათი ამოქმედება ძვირ იმპორტირებულ ენერგოშემცველებზე ქვეყნის დამოკიდებულებას უდავოდ შეამცირებდა და, ერთის მხრივ, ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლებას და, მეორეს მხრივ, ექსპორტ-იმპორტის ბალანსის გაუმჯობესებას შეუწყობდა ხელს. როგორც კვლევიდან ირკვევა, ასეთი რეზერვებია:

- დანაკარგები 739 ათასი ტნე¹⁵/წლიურად: ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის სექტორებში (რომლებიც მთლიანად კერძო სექტორის ხელშია) მაღალი კომერციული დანაკარგების არსებობა ამ სექტორებში აქტიური კომპანიების მხრიდან დანაკარგების აღმოფხვრის მიმართ დაინტერესების არქონაზე მიუთითებს. თუ ფიზიკური და იურიდიული პირები მოპარულ ელექტროენერჯიასა და გაზს მოიხმარენ, ბუნებრივია, ისინი არ იქნებიან დაინტერესებულები, მოხმარება შეამცირონ და, ამ მიზნით, ენერგოეფექტური მოწყობილობა-დანადგარები გამოიყენონ. დანაკარგების აღმოფხვრა ენერგორესურსების ეფექტური გამოყენებისა და დაზოგვის უმნიშვნელოვანესი რეზერვია. მაღალი დანაკარგების არსებობის პირობებში ცივილური ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება შეუძლებელია.
- სააბონენტო მოხმარება 1009 ათასი ტნე/წლიურად: სიდიდით პირველი და მნიშვნელობით მეორე სეგმენტი, სადაც ენერგოშემცველების უფრო ეფექტური გამოყენება და დაზოგვა არის შესაძლებელი, სააბონენტო მოხმარებაა. ამ სეგმენტში დაზოგვითი და ეფექტური მოხმარების დანერგვა მოსახლეობის მსყიდველობით უნარიანობაზე, მის ინფორმირებულობაზე და სწორ მოტივაციაზე დამოკიდებულია. ამ მიმართულებით განსაკუთრებული როლი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს (წახალისოს ენერგოეფექტური და დაზოგვითი ელექტრო და გაზის ხელსაწყოების იმპორტი). მოსახლეობის ინფორმირებულობის და თვითშეგნების დონის ამაღლებაში აქტიურად უნდა ჩაერთონ ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციები. საფინანსო ინსტიტუტებმა კი უნდა დააკრედიტონ მოსახლეობის მიერ ენერგოეფექტური ხელსაწყოების შესყიდვა.
- ტრანსპორტი 591 ათასი ტნე/წლიურად: სატრანსპორტო პარკის განახლება, არსებული მანქანების დაბალ კუბატურიანი მანქანების ჩანაცვლებით, ნავთობპროდუქტების იმპორტის შემცირების უმნიშვნელოვანესი რეზერვია. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ევროკავშირის ქვეყნებში არსებული გამოცდილების გათვალისწინება.
- წლიურად მოხმარებული ბუნებრივი გაზის 37% ელექტროენერჯის გენერაციაზე მოდის. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს არსებული გაზის გენერაციის ობიექტებიდან ორი („მტკვარი” და „თბილსრესი”) საბჭოთა პერიოდისაა და უკვე მოძველებულია, ხოლო ახალი აირტურბინა, რომელიც რუსულ-ქართულ ბიზნესჯგუფ „ენერჯი-ინვესტს” ეკუთვნის, ორთქლის ეფექტს საერთოდ არ იყენებს (რაც ამ მაღალტექნოლოგიურ ობიექტს აზრს უკარგავს), ახალი მაღალტექნოლოგიური აირტურბინების დადგმის შემთხვევაში ელექტროგენერაციაში გაზის მოხმარების შემცირების რეალური რეზერვი არსებობს. პარლამენტის დადგენილება „ენერგეტიკაში

¹⁵ ტნე - ტონა ნავთობის ექვივალენტი.



სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ პირდაპირ მიუთითებს ენერგოეფექტური კოგენერაციის სიტემების დადგმის აუცილებლობის შესახებ.

- სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს და დაინერგოს ახალი სამშენებლო სტანდარტები, რომლებიც მენაშენებს თბოდაზოგვითი ნორმების დაცვას დაავალდებულებს. სხვა შემთხვევაში გათბობა-გაგრილებისთვის იმპორტირებული ენერჯის მოთხოვნის სერიოზული ზრდა არის მოსალოდნელი.
- ვინაიდან ენერგოშემცველების მოხმარება მრეწველობაში ყველაზე მოკრძალებულია და სასარგებლოდ მოხმარებული რესურსების მხოლოდ 16%-ს შეადგენს, ენერგოშემცველების მოხმარების შემცირება ამ სექტორში ყველაზე უმტკივნეულოდ უნდა მოხდეს. კერძო კომპანიები თავადვე არიან დაინტერესებული, შეამცირონ ერთეული პროდუქტის წარმოებაზე დახარჯული ენერგოშემცველების რაოდენობა. მათ ამაში „ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის“ საკრედიტო ხაზი მნიშვნელოვნად დაეხმარება.
- მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ შეცვალოს დამოკიდებულება ენერგოეფექტურობის საკითხის მიმართ. ენერგოშემცველების წარმოება და იმპორტი უნდა განიხილებოდეს არა როგორც ბიუჯეტის შევსების ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო, არამედ როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი წანამდგარი. მხოლოდ ასეთი დამოკიდებულების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ენერგოეფექტური და დაზოგვითი პოლიტიკის გატარება.